



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center



სნობის ფურცელი

ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი

2022



კონკურსები

მიმდინარე კონკურსები

- ▶ მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 2023 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი;
- ▶ დოკუმენტური ფილმის 2023 წლის წარმოების კონკურსი.

დასრულდა

- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2022 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი;

გამარჯვებული პროექტები:

1. „საჭესთან“ – პროდიუსერი: შპს „ზუჩი ფილმსი“ (რეჟ. გრიგოლ ჯანაშია) 57,854 (ორმოცდაჩვიდმეტი ათას რვაასორმოცდათოთხმეტი) ლარით;
2. „მეთევზის ტვირთი“ – პროდიუსერი: შპს „სინექსპრეს ფროდაქშენს“ (რეჟისორი: ლევან ცხოვრებაძე; გრიგოლ ჯანაშია) 54,493 (ორმოცდათოთხმეტი ათას ოთხას ოთხმოცდაცამეტი) ლარით;
3. „ამბავი დუმბაძეებისა“ – პროდიუსერი: შპს „მოირა ფილმი“ (რეჟისორი: ლევან თუთბერიძე) 117,528 (ას ჩვიდმეტი ათას ხუთას ოცდარვა) ლარით;
4. „ასეთი ხანგრძლივი არყოფნა“ – პროდიუსერი: შპს „პარაშუტი“ (რეჟისორი: ირინე რურუა) 13,482 (ცამეტი ათას ოთხას ოთხმოცდაორი) ლარით;
5. „2016“ – პროდიუსერი: შპს „კავკასი ფილმს“ (რეჟისორი: კოტე აბდუშელიშვილი) 58,472 (ორმოცდათვრამეტი ათას ოთხას სამოცდათორმეტი) ლარით;
6. „ვარშავის სიმღერა“ – პროდიუსერი: ი/მ ალექსანდრე ვისოცკი (რეჟისორი: ალექსანდრე ვისოცკი) 45,292 (ორმოცდახუთი ათას ორას ოთხმოცდათორმეტი) ლარით;
7. „თავისუფლება“ – პროდიუსერი: შპს „სინექსპრეს ფროდაქშენს“ (რეჟისორი: გიორგი ჯავახიშვილი) 78,479 (სამოცდათვრამეტი ათას ოთხას სამოცდაცხრამეტი) ლარით;
8. „კარს მიღმა“ – პროდიუსერი: შპს „Film Asylum“ (რეჟისორი: ნოდარ მარშანიშვილი) 74,400 (სამოცდათოთხმეტი ათას ოთხასი) ლარით.

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2023 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი;

- მხატვრული მრავალსერიანი ფილმის (3-5 ეპიზოდი) სცენარის შექმნისა და წარმოების დაფინანსების კონკურსის I ეტაპი, მრავალსერიანი ფილმის სცენარის შექმნა, გაიმარჯვეს:

1. „ის ბიჭები“ – პროდიუსერი: შპს „პროდაქშენი 13“, რეჟ./სცენ. გელა ბაბლუანი, თემურ ბაბლუანი – 50,000 (ორმოცდაათი ათასი) ლარით;
2. „საშობაო კაკლუჭები“ – პროდიუსერი: შპს „სტუდია +1“, სცენ. აკა მორჩილაძე, კონსტანტინე ჯანდიერი, რეჟ. ლევან თუთბერიძე – 50,000 (ორმოცდაათი ათასი) ლარით;
3. „13 მაისი“ – პროდიუსერი: შპს „ქართული ტელე-სერიალი“, სცენ. ქეთი გალდავაძე, ნიკოლოზ ქარცივაძე, რეჟ. ლევან კიტია – 50,000 (ორმოცდაათი ათასი) ლარით;
4. „ჩერქეზის 8“ – პროდიუსერი: შპს „პრემიერ ფროდაქშენი“, სცენ. აკა მორჩილაძე, გიორგი გაჩეჩილაძე, ეკატერინე ელიაშვილი, რეჟ. გიორგი თავართქილაძე – 50,000 (ორმოცდაათი ათასი) ლარით;
5. „სოხუმი“ – პროდიუსერი: შპს „შვიდკაცა +“, რეჟ./სცენ. გიორგი ბარაბაძე – 50,000 (ორმოცდაათი ათასი) ლარით;

მეორე ეტაპი დაიწყება 2023 წლის 28 თებერვალს.



“დიდი შესვენება”



“ტერცო მონდო”

მოსამზადებელ პერიოდშია:

- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დროებითი ჭერი“ (პროდიუსერი – შპს „ფილმ ასილუმ“, რეჟისორი – გიორგი ქობალია);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აკვარიუმი“ (პროდიუსერი – შპს „ს.ს.ს.“, რეჟისორი – თორნიკე ბზიავა);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ქალაქის ხმაური“ (პროდიუსერი – შპს „თეიქს ფილმი“, რეჟისორი – პაპუნა მოსიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცივი ღრუბლები“ (პროდიუსერი – შპს „20 სტეფს ფროდაქშენი (20 steps productions)“, რეჟისორი – კახა კიკაბიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანატორი: მკვდრების სოფელი“ (პროდიუსერი – შპს „სიბლერ ფროდაქშენი“, რეჟისორი – გიორგი გოგიჩაიშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მთვარე მამაა ჩემი“ ((პროდიუსერი – შპს „ვაგონეტი“, რეჟისორი – გიორგი ოვაშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წყლების მაღაზია“ (პროდიუსერი – შპს „სტუდია – 99“, რეჟისორი – შტეფან ტოლცი);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩვენი სიყვარულის მერე“ (პროდიუსერი – შპს „12“ თედო დოლიძე, რეჟისორი – ამირან დოლიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „რაც ღმერთს სწამდა“ (პროდიუსერი – შპს „მიდი ფილმი“, რეჟისორი – მარინე გულბიანი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „Dark Star“ (პროდიუსერი – შპს „20 steps production“, რეჟისორი – ალექსანდრე ცაბაძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცრემლსადენი გაზი“ (პროდიუსერი – შპს „1991 ფილმ ფროდაქშენ“, რეჟისორი – უტა ბერიძე);



“ზამთრის დეპრესია“



“ვენეცია“

- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „საგესთან“ (პროდიუსერი – შპს „გუჩი ფილმის“, რეჟისორი – გრიგოლ ჯანაშია);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ასეთი ხანგრძლივი არ ყოფნა“ (პროდიუსერი – შპს „პარაშუტი“, რეჟისორი – ირინე რურუა).


გადაღების პერიოდშია:

- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პანოპტიკონი“ (პროდიუსერი – შპს „20 სტეფს ფროდაქშენი (20 steps productions)“, რეჟისორი – ჯორჯ სიხარულიძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვაკუმი“ (პროდიუსერი – შპს „12“ თედო დოლიძე, რეჟისორი – თედო დოლიძე);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „შაქრო-ცხენი, ზორო, ფანტომასა და ტაისონა“ (პროდიუსერი – შპს „პალესტრა“, რეჟისორი – თემურაზ ცავა);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩამომყრელი“ (პროდიუსერი – შპს „ნაკაშიძე“, რეჟისორი – ლევან ნაკაშიძე);
- ▶ მოკლე მხატვრული ფილმის წარმოება „მილი“ (პროდიუსერი – შპს „12“, რეჟისორი – შალვა სოყულაშვილი);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ძაფი“ (პროდიუსერი – შპს „ფილმ ასილუმი“, რეჟისორი – ლევან სიხარულიძე);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „შოთას და დანარჩენ 99-ს მოსწონს ეს“ (პროდიუსერი – ააიპ საავტორო ფილმების სტუდია, რეჟისორი – ერეკლე ინაშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აფრიკა“ (პროდიუსერი – შპს „კინო არქიტექტურის ოფისი“, რეჟისორი – რატი ჯებაშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წმინდა ელექტროენერგია“ (პროდიუსერი – შპს „ზანგო სტუდია“, რეჟისორი – ვახტანგ კოტეტიშვილი);

- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორმო“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი – გიორგი ჩალაური);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „კავკასიონის ხუთი ხედი“ (პროდიუსერი – შპს „ეკო ფილმს“ (EcoFilms), რეჟისორი – ნიკა წიკლაური);
- ▶ მოკლე მხატვრული ფილმი „ჩატვირთვა“ (პროდიუსერი – შპს „დიგიტალ ქითჩენ ფილმსი“, რეჟისორი – გიორგი წილოსანი);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „მულამათი“ (პროდიუსერი – ი/მ თამთა გაბრიჩიძე, რეჟისორი და სცენარის ავტორი – თამთა გაბრიჩიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „თხილი“ (პროდიუსერი – შპს „იბერიკა ფილმი“, რეჟისორი – ლევან კოლუაშვილი);
- ▶ მცირებუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ინგა“ (პროდიუსერი – შპს „სიბლერ ფილმსი“, რეჟისორი – დავით აბრამიშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „სატრფიალო პასტორალი“ (პროდიუსერი – შპს „თთფილმი“, რეჟისორი – თინათინ გურჩიანი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ტერცო მონდო“ (პროდიუსერი – ს.ს. „ქართული ფილმი“, რეჟისორი – მერაბ კოკოჩაშვილი);
- ▶ ანიმაციური ფილმი „განდევილი“ (პროდიუსერი – შპს „შემოქმედებითი საწარმოო გაერთიანება ლირა ფროდაქშენი“, რეჟისორი – დათო კიკნაველიძე);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „მწარე შაქარი“ (პროდიუსერი – ააიპ „ბავშვთა და მოზარდთა ჰარმონიული განვითარების ცენტრი“, რეჟისორი – ანა ბარჭაძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხმელი ფოთოლი“ (პროდიუსერი – ი/მ ალექსანდრე კობერიძე, რეჟისორი – ალექსანდრე კობერიძე).

პოსტ-პროდუქციის პერიოდშია:

- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სავსე სიცარიელე“ (პროდიუსერი – შპს „სტუდია+1“, რეჟისორი – ირინე ჯავახიძე);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „ბოლო ზარი“ (პროდიუსერი – შპს „ნათურა ფილმი“, რეჟისორი – ბესო (გივი) ოდიშარია);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „ვიდინოთ“ (პროდიუსერი – ააიპ „საქლოკ ფილმი, რეჟისორი – სოფიო მედოიძე);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „რაც თავი მახსოვს“ (პროდიუსერი – შპს „ფორმო“, რეჟისორი – მაკა გოგოლაძე);



„როცა 17 წლის ხარ“



„ხმელი ფოთოლი“

- ▶ მცირებუჩქეთიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აღარ შემოიძლია“ (პროდიუსერი – შპს „პარაშუტი“, რეჟისორი – ეკატერინე ჭელიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (პროდიუსერი – ფ/პირი გელა კანდელაკი, რეჟისორი – გელა კანდელაკი);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „ოცნება კადილაკზე“ (შპს „პარაშუტი, რეჟისორი – ელენე მიქაბერიძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კორიდა“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტა ფილმს“, რეჟისორი – გიორგი სამსიანი);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „მჩხიბავი“ (პროდიუსერი – შპს „ბი აი თი სტუდია“, რეჟისორი – ანა კვიტიძე);
- ▶ ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „ანტიკვარიატი“ (პროდიუსერი – შპს „სინეტექი“, რეჟისორი – რუსუდან გლურჯიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გამთრისპირის სევდა“ (პროდიუსერი – შპს „ფილმ ასილუმ“ (Film Asylum), რეჟისორი – აკაკი შანშიაშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ლევანი და გივი“ (პროდიუსერი – შპს „ჭემინი“, რეჟისორი – ბაკურ ბაკურაძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როცა 17 წლის ხარ“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი – გიორგი მუხაძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ველი“ (პროდიუსერი – შპს „პანსიონატი“, რეჟისორი – გიორგი ცქვიტინიძე);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „თბილისის ომი“ (პროდიუსერი და რეჟისორი – ინდ/მენარმე იოსებ დუმბაძე);
- ▶ მოკლე მხატვრული ფილმის წარმოება „აღდი“ (პროდიუსერი – შპს „ბრინგო“, რეჟისორი – გიორგი არაბული);

- ▶ დოკუმენტური ფილმი „რეკვიემი ზაფხულის სიცხიან დღეებს“ (პროდიუსერი – ააიპ „ათიკ პროდაქშენი“, რეჟისორი – გიორგი ფარქოსაძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წესების დაცვით“ (პროდიუსერი – შპს „მალჰოლანდ ფილმი“, რეჟისორი – დოვერ ქოსაშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მოქალაქე წმინდანი“ (პროდიუსერი – შპს „არტიზმი“, რეჟისორი – თინათინ ყაჭრიშვილი);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აუზი“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი – სალომე ლაცაბიძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უსაზღვროდ“ (პროდიუსერი და რეჟისორი – ფ/პ ლუკა მგელაძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომთაბარე“ (პროდიუსერი – შპს „პანსიონატი“, რეჟისორი – ირაკლი მეთრეველი);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „სიცოცხლეში დაბრუნება“ (პროდიუსერი – შპს „3003 ფილმ ფროდაქშენი“, რეჟისორი – ლანა ღოდობერიძე).



“პატარა ხოჭო”



“კავკასიონის ხუთი ხედი”

განვითარების პროცესშია:

- ▶ „მეათე მოწმე“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს. „იტს სტუდიო“ (Its STUDIO), სცენარის ავტორი გიგა ლიკლიკაძე);
- ▶ „კახაბერი“ – (პროდიუსერი – ინდ/მენარმე „გიორგი გეთიაშვილი“, სცენარის ავტორი – გიორგი გეთიაშვილი).

დასრულდა:

- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სად მიდის ლიზა“ (პროდიუსერი – შპს ნ&ნ (N&N), რეჟისორი – ნანა ჯანელიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჰაერი ლურჯი აბრეშუმია“, (პროდიუსერი შპს „კედარი“, რეჟისორი -- ირინე ჟორდანიას);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვენეცია“ (პროდიუსერი – შპს „ნიკე სტუდიო“, რეჟისორი – რუსუდან ჭყონია);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ამაღლება“ (პროდიუსერი – 20 სტეპს პროდაქშენი, რეჟისორი – გიორგი თავართქილაძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მკვდარი“ (პროდიუსერი – შპს „ახალი ქართული ფილმი“ ნიკოლოზ აბრამაშვილი, რეჟისორი – გიორგი ანთიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტის განვითარება „თამაშგარე“ – (პროდიუსერი – შპს „newdocfilm“ ნინუკი ქლიავა; რეჟისორი – სანდრო ნავერიანი);
- ▶ სცენარის განვითარება „მამა აბრამის ბატკანი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს „ვაგონეტი“, სცენარის ავტორი – გიორგი ოვაშვილი);

- ▶ პროექტის განვითარება „დაბრუნება“ – (პროდიუსერი – შპს „პანიკა ფილმსი“, სცენარის ავტორი – გურამ ბაქრაძე);
- ▶ ანიმაციური მხატვრული ფილმის პროექტის განვითარება ლომის ახალი ფაფარი (პროდიუსერი და რეჟისორი – ინდ/მენარმე „ანა ჩუბინიძე“);
- ▶ ანიმაციური მხატვრული ფილმის პროექტის განვითარება „იფიქრე ნაკლები“ (პროდიუსერი – ინდ/მენარმე „ქეთევან ჯანელიძე“, რეჟისორი – ლევან ყუფარაძე);
- ▶ დოკუმენტური ფილმის პროექტის განვითარება „ჩემი დაკარგული სხეული“ (პროდიუსერი – შპს „სტუდია ლოკოკინა“, რეჟისორი – ალექსანდრე კვატაშიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის განვითარება „მეზობლებს სძინავთ“ (პროდიუსერი – შპს „პარაშუტი“, რეჟისორი – კოტე კალანდაძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მშვენიერი ელენე“ (პროდიუსერი – შპს „პარაშუტი“, რეჟისორი – გიორგი ოვაშვილი);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სიმღერა სიცოცხლის საგალობელი“ (პროდიუსერი – შპს „ცისფერი მთები“, რეჟისორი – ელდარ შენგელაია).



დავით ფირცხალავას ჯილდო ბოსფორის საერთაშორისო კინოფესტივალზე

დავით ფირცხალავას ფილმის „დიდი შესვენება“ ევროპული პრემიერა გაიმართა ბოსფორის საერთაშორისო კინოფესტივალზე, სადაც დავითს გადაეცა საუკეთესო რეჟისორის ჯილდო.

„დიდი შესვენება“ საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმია. ფილმის მსოფლიო პრემიერა სექტემბერში შედგა ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალზე.

აღსანიშნავია, რომ „დიდი შესვენება“ საქართველოს კანდიდატი ფილმია ამერიკის კინოაკადემიის „ოსკარის“ საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაციისთვის.

ამსტერდამის დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი (IDFA)

ნიკოლოზ ბეჟანიშვილის დოკუმენტური ფილმის მსოფლიო პრემიერა გაიმართა ამსტერდამის დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე (IDFA).

ფილმი „აღდგომა“ შექმნილია საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით.

ფილმის ისტორია 2012 წელს იწყება, როდესაც გორის კომუნისტური პარტიის წევრებმა კვლავ გადაწყვიტეს სტალინის ძეგლის აღმართვა მის მშობლიურ მხარეში.

გადაღებები 2016 წელს დაიწყო. რეჟისორმა ფილმის მთავარ გმირებთან ერთად 4 წელი გაატარა და მათი ცხოვრება ფირზე ასახა. სტალინისტების უკეთ გაცნობამ ფილმის დრამატურგია შეცვალა.

წითელი ზღვის საერთაშორისო კინოფესტივალი

საუდის არაბეთში წითელი ზღვის საერთაშორისო კინოფესტივალი მიმდინარეობდა. ჟიურის პრეზიდენტია ცნობილი ამერიკელი რეჟისორი, პროდიუსერი და სცენარის ავტორი ოლივერ სტოუნი.

აღსანიშნავია, რომ ჟიურის წევრთა შორის იყო ქართველი კინორეჟისორი ლევან კოლუაშვილი. კოლეგებთან ერთად მან ფესტივალის მთავარი საკონკურსო სექციის გამარჯვებული გამოავლინა. ფესტივალი 10 დეკემბერს დაიხურა.



შარშან, წითელი ზღვის საერთაშორისო ფესტივალის ერთ-ერთი პრიზიორი სწორედ ლევან კოლუაშვილის ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“ გახდა, რომელიც შექმნილია საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით.

აზიური ფილმების ფესტივალი

„დიდი შესვენება“

ლოს ანჯელესში, აზიური ფილმების ფესტივალის (Asian World Film Festival) საკონკურსო პროგრამაში მონაწილეობდა დავით ფირცხალავას ფილმი „დიდი შესვენება“.

ფილმი შექმნილია საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით.

ლოს ანჯელესში შედგა ფილმის 2 ჩვენება, რომელსაც ფესტივალის ჟიურის წევრები დაესწრნენ. ასევე, ამერიკაში იმყოფებოდნენ ფილმის შემოქმედებითი ჯგუფის წევრები: პროდიუსერები თიკო ნადირაშვილი და თედო დოლიძე და დამდგმელი ოპერატორი შალვა სოყურაშვილი.

„დიდი შესვენება“ საქართველოს კანდიდატი ფილმია ამერიკის კინოაკადემიის 2023 წლის საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაციაზე.



„სამურაი დასვენების ჟამს“

ლევან თუთბერიძის ფილმის „სამურაი დასვენების ჟამს“ მსოფლიო პრემიერა ლოს ანჯელესში გაიმართა. ფილმი შექმნილია საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით.

კინოჩვენება აზიური ფილმების ფესტივალის (Asian World Film Festival) ფარგლებში, 16 ნოემბერს შედგა.

„სამურაი დასვენების ჟამს“ სოციალური დრამაა, რომელიც ერთი ოჯახის 24 საათში განვითარებულ ისტორიას გვიყვება.

სცენარი აკა მორჩილაძეს ეკუთვნის, ფილმის ოპერატორია მინდია ესაძე, ხოლო მთავარ როლებს ასრულებენ ნინო კასრაძე, თემიკო ჭიჭინაძე, დავით გოცირიძე, ზუკა პაპუაშვილი, ნატალია ყულოშვილი, ზაზა მაღალაშვილი და ანდრო ჭიჭინაძე.

სერბერ-პორტუს საერთაშორისო კინოფესტივალი

ნონა გიუნაშვილის ფილმის „სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს“ ფრანგული პრემიერა შედგა სერბერ-პორტუს საერთაშორისო კინოფესტივალზე.

ფესტივალი 2005 წლიდან იმართება და ყოველწლიურად აუდიტორიას მხოლოდ 9 საუკეთესო ფილმს წარუდგენს.

„სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს“ მოგვითხრობს პანკისის ხეობის მკვიდრი ქალების ყოველდღიურობაზე, რომელიც მუსიკად ტრანსფორმირდება და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ინტერესის ობიექტი ხდება.

ფილმი შექმნილია საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით.



აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ფესტივალი

ილო ღლონტის ფილმის „რატომ ვართ ერთად“ მსოფლიო პრემიერა გაიმართა ჰააგაში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ფესტივალზე (Eastern Neighbours Film Festival).

ფილმის ჩვენებების შემდეგ, 26 და 27 ნოემბერს, მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა ესაუბრა ფილმის რეჟისორთან.

აღსანიშნავია, რომ ჰააგაში, ასევე, აჩვენეს ალექსანდრე ქორიძის დოკუმენტური ფილმი „ატონალური გაბრწყინება“.

ორივე ფილმი – „რატომ ვართ ერთად“ და „ატონალური გაბრწყინება“ შექმნილია საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით.



ანა ჩუბინიძის ანიმაციური ფილმი ბარსელონაში დაჯილდოვდა

ანა ჩუბინიძის ანიმაციურ ფილმს – „ფრენცის სასადილო“ ბარსელონაში El Meu Primer Festival-ზე საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ანიმაციის ჯილდო გადაეცა. „ფრენცის სასადილო“ შექმნილია საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით.

ფესტივალის ჟიურიმ განსაკუთრებით აღნიშნა ფილმის ორიგინალური სცენარი, პერსონაჟების ხასიათი და იუმორის გრძნობა. „ფრენცის სასადილოსთვის“ ეს უკვე მეთხუთმეტე საერთაშორისო ჯილდოა.



კინოფესტივალი „ევრაზია“

ყაზახეთში, კინოფესტივალზე „ევრაზია“, ლევან კოლუაშვილს გადაეცა საუკეთესო რეჟისორის ჯილდო ფილმისთვის „მეოთხე ბრაიტონი“.

ფილმი შექმნილია საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით.

აზია-წყნარი ოკეანის ფილმების ფორუმი

წელს ავსტრალიაში მეთხუთმეტედ გაიმართა აზია-წყნარი ოკეანის ფილმების დაჯილდოება (Asia Pacific Screen Awards APSA). ფესტივალის ფარგლებში, ხუთი დღის განმავლობაში ჩატარდა ფორუმი, სადაც კინორეჟისორები, დაჯილდოვების ნომინანტები და დელეგატები მონაწილეობდნენ.

10 ნოემბერს პანელ-დისკუსიაზე (ონლაინ ფორმატში) მიწვეული იყო საქართველოს ეროვნული კინოცენტრის დირექტორის პირველი მოადგილე მაია ჭილაშვილი. ფორუმზე განიხილეს კინონარმოება საქართველოში, მიმზიდველი ლოკაციები და საგადასახადო შეღავათები.



თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი

საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით, 4-11 დეკემბრის ჩატარდა თბილისის 23-ე საერთაშორისო კინოფესტივალი.

კინოფესტივალი გაიხსნა პოლონელი რეჟისორის, ევროპის კინოაკადემიის პრეზიდენტის – აგნეშკა პოლანდის ფილმით „მისტერ ჯონსი“ (2019 წ.), რომელსაც რეჟისორი თავადაც დაესწრო. ფესტივალის დახურვაზე კი აჩვენეს რეჟისორ დიტო ცინცაძის ფილმი „როქსი“ (2022 წ.).

დაჯილდოების ცერემონიაზე გამოვლინდნენ ქართული ფილმების საკონკურსო პროგრამის გამარჯვებულები. ფესტივალის მთავარი ჭილდო – „ოქროს პრომეთე“ საუკეთესო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმისათვის გადაეცა სოსო ბლიაძის ფილმს „ჩემი ოთახი“.



საკონკურსო პროგრამის გარდა, ფესტივალი წარმოადგენდა ევროპული და მსოფლიო კინოს საუკეთესო ნამუშევრებს სხვადასხვა სექციაში.

აღსანიშნავია, რომ ფილმების ჩვენებების გარდა, თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სრულმეტრაჟიანი მხატვრული და დოკუმენტური ფილმების პროექტების წარდგენას ინდუსტრიულ პლატფორმაზე.



თბილისის საერთაშორისო ანიმაციური ფესტივალი

საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით, 2-5 ნოემბერს მესხეთედ ჩატარდა თბილისის საერთაშორისო ანიმაციური ფესტივალი.

ფესტივალი მიზნად ისახავს თანამედროვე ანიმაციური ხელოვნების წარმოჩენასა და ამ დარგის განვითარების ხელშეწყობას.

წელს ფესტივალზე აჩვენეს 184 ანიმაციური ფილმი 46 ქვეყნიდან, მათ შორის 5 სრულმეტრაჟიანი ანიმაცია.

აღსანიშნავია, რომ ფესტივალის გრან პრი გადაეცა ქართულ ანიმაციურ ფილმს „მიტოვებული სოფელი“ (რეჟისორი – მარიამ კაპანაძე, პროდიუსერი – მარიამ კანდელაკი). ფილმმა კიდევ ერთი ჭილდო მოიპოვა საკონკურსო პროგრამაში „ხელოვნება ანიმაციაში“.

კინოჩვენებების გარდა, ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა მასტერკლასები.



ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“

საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით, ბათუმში ჩატარდა ანიმაციური ფილმების მე-14 საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“. კინოჩვენებების გარდა, ფესტივალი მოიცავდა 2D და თოჯინური ანიმაციის ვორქშოფებს ბათუმში, ქედასა და ხელვაჩაურში, ასევე, მასტერკლასებსა და სცენარის წერის სემინარებს.

ფესტივალი საზეიმოდ გაიხსნა ექსპერიმენტული სპექტაკლით ბათუმის თოჯინების თეატრში, ხოლო დახურვის ცერემონია გაიმართა ხელოვნების უნივერსიტეტში, სადაც საერთაშორისო ჟიურიმ გამოავლინა კინოფესტივალის გამარჯვებულები.



მოკლემეტრაჟიანი ფილმების ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი „LemON“

საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით, ბათუმში გაიმართა მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „LemON“. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო 47 საკონკურსო ფილმი მსოფილოს 25 ქვეყნიდან.

საკონკურსო ნამუშევრების ჩვენებების გარდა, ფესტივალის ფარგლებში შედგა ელდარ შენგელაიას ფილმების რეტროსპექტივა. 24-27 ნოემბერს ჩატარდა მასტერკლასები. „განსაკუთრებული პედაგოგიური ღვაწლისათვის კინემატოგრაფში“ კი დაჯილდოვდა ქართველი კინოკრიტიკოსი, კინორეჟისორი და ლიტერატორი გოგი დოლიძე. ფესტივალის დახურვის საზეიმო ცერემონია გაიმართა 28 ნოემბერს, სადაც გამოვლინდნენ გამარჯვებულები.



თბილისის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ინტერნეტ ფესტივალი „დიოგენე“

16-27 ნოემბერს, საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით, ჩატარდა თბილისის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ინტერნეტ ფესტივალი „დიოგენე“.

ფესტივალი ტარდება ონლაინ ფორმატში. ჟიურის მთავარი წევრები ქართველი და უცხოელი კინემატოგრაფისტები არიან, თუმცა პარალელურად მუშაობს სტუდენტური ჟიურიც. როგორც ფესტივალის ორგანიზატორები ამბობენ, მათი მიზანი პროცესში რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდის ჩართვაა.

ფესტივალის გამარჯვებულები 27 ნოემბერს გამოვლინდნენ.





ქართული კინოს რეტროსპექტივა მონპელიეს საერთაშორისო კინოფესტივალზე

საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით, 21-29 ოქტომბერს მონპელიეს საერთაშორისო კინოფესტივალზე (CINEMED) გაიმართა ქართული კინოს რეტროსპექტივა.

პროგრამაში იყო:

- „მეოთხე ბრაიტონი“ – რეჟისორი ლევან კოლუაშვილი;
- „რას ვხედავთ, როდესაც ცას ვუყურებთ?“ – რეჟისორი ალექსანდრე კობერიძე;
- „დედე“ – რეჟისორი მარიამ ხაჭვანი;
- „და ჩვენ ვიცეკვით“ – რეჟისორი ლევან აკინი;
- „სანამ მამა დაბრუნდება“ – რეჟისორი მარი გულბიანი;
- „ფუტკრის დაცემა“ – რეჟისორი ვაჟიკო ჩაჩხიანი;
- „ახალი წელი“ – რეჟისორი გიორგი სიხარულიძე;
- „ჩემი ტელეფონის მესხიერება“ – რეჟისორი პაპუნა მოსიძე;
- „ცისფერი მთები“ – რეჟისორი ელდარ შენგელაია;
- „მარილი სვანეთს“ – რეჟისორი მიხეილ კალატოზიშვილი;
- „პირველი მერცხალი“ – რეჟისორი ნანა მჭედლიძე;
- „მონანიება“ – რეჟისორი თენგიზ აბულაძე.

აღსანიშნავია, რომ კინოფესტივალის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა მრგვალი მაგიდის ფორმატში, რომელსაც რეტროსპექტივის მონაწილე ფილმების რეჟისორები დაესწრნენ: ლევან კოლუაშვილი, პაპუნა მოსიძე, მარიამ ხაჭვანი, ალექსანდრე კობერიძე, გიორგი სიხარულიძე და მარი გულბიანი. შეხვედრა ქართული კინოს წარმატებებს მიეძღვნა და მას ორგანიზება გაუწია მონპელიეს საერთაშორისო კინოფესტივალის დირექტორმა – კრისტოფ ლეპარკმა.

მონპელიეს საერთაშორისო კინოფესტივალის საფრანგეთში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კინომოვლენაა, რომელიც 1979 წლიდან იმართება.

ოთარ მეღვინეთუხუცესი – რეტროსპექტივა

საქართველოს ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებითა და საქართველოს ეროვნულ არქივთან თანამშრომლობით, 24-27 ნოემბერს გაიმართა რეტროსპექტივა, რომელიც გამოჩენილ ქართველ მსახიობს – ოთარ მეღვინეთუხუცესს მიეძღვნა.

კინოჩვენებები ეროვნული არქივის კინოდარბაზში გაიმართა. ნაჩვენები იყო ის ქართული ფილმები, სადაც ოთარ მეღვინეთუხუცესმა არაერთი გამორჩეული სახე შექმნა:

- „დიდოსტატის მარჯვენა“
(რეჟისორები: ვახტანგ ტაბლიაშვილი და დევი აბაშიძე);
- „ვედრება“
(რეჟისორი თენგიზ აბულაძე);
- „ცოტნე დადიანი“
(რეჟისორი ალექსანდრე ჟღენტი);
- „თავადის ქალი მაია“
(„ერთი ცის ქვეშ“, რეჟისორი ლანა დოლობერიძე);
- „ნატვრის ხე“
(რეჟისორი თენგიზ აბულაძე);
- „ტარიელ გოლუა“
(რეჟისორი ლევან ხოტივაძე);
- „მზე შემოდგომისა“
(რეჟისორი თემურ ფალავანდიშვილი).

რეტროსპექტივის ფარგლებში ნაჩვენები ფილმები აღდგენილია ეროვნული კინოცენტრის ინიციატივით და ეროვნულ არქივთან თანამშრომლობით.



საქართველოს
კინოცენტრის
ნაციონალური
არქივი



საქართველოს
კინოცენტრის
ნაციონალური
არქივი



საქართველოს
კინოცენტრის
ნაციონალური
არქივი

საქართველოს
კინოცენტრი2-25
დეკემბერისაქართველოს
კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის
სამინისტროსაქართველოს
ქრონიკალი
არქივისაქართველოს კინოცენტრის
ენოვანო ცენტრი
Georgian National
Film Center

1920-1930 წლების ქართული კინოს რეტროსპექტივა

საქართველოს ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებით, 2-25 დეკემბერს გაიმართა 1920-1930-იანი წლების ქართული კინოს რეტროსპექტივა. პროექტის პარტნიორი: საქართველოს ეროვნული არქივი. რეტროსპექტივის ფარგლებში შედგა 19 ქართული ფილმის ჩვენება. ფილმების უმეტესობის აღდგენა ახლახანს დასრულდა, შესაბამისად, ისინი მაყურებელმა დიდ ეკრანზე პირველად იხილა.

პროგრამა გაიხსნა ალექსანდრე წუნუნავას 1925 წელს შექმნილი ფილმით – „ვინ არის დამნაშავე“ და დაიხურა ამავე რეჟისორის 1928 წელს გადაღებული ფილმით „ჭანყი გურიაში“. აღსანიშნავია, რომ კომპოზიტორმა ვაჟა მარიმ სპეციალურად ფილმისთვის „ჭანყი გურიაში“ შექმნა ელექტრონული მუსიკა, რომელიც კინოჩვენებისას ცოცხლად შესრულდა.

კინომემკვიდრეობაზე ზრუნვა ეროვნული კინოცენტრის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ქართული ფილმების დაბრუნების პროცესი 2016 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით.

ამ ეტაპზე ფილმსაცავიდან „გოსფილმოფონდი“ ჩამოტანილია 51 ფილმი, აქედან აღდგენილია 49.

რეტროსპექტივის მონაწილე ფილმები აღდგენილია საქართველოს ეროვნულ არქივთან თანამშრომლობით, გიორგი კაკაბაძის ხელმძღვანელობით.

ქართული კინოპროექტები ინდუსტრიულ პლატფორმებსა და კინობაზრობებზე

- Biennale College Cinema-ს რეზიდენციისთვის შერჩეულ 12 პროექტს შორის მოხვდა ნინო შაბურიშვილის მხატვრული ფილმის პროექტი „სიჩუმის ქაოსი“. საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით, ნინო შაბურიშვილი ვენეციაში გაემგზავრა, სადაც შესაძლებლობა ჰქონდა პროექტის ტუტორებთან ერთად თავისი ფილმის განვითარებაზე ემუშავა.
- ლუქსემბურგის კინოფონდმა 2022 წლის ბოლო სესიაზე 17 ფილმის პროექტი გამოარჩია, რომელთაც ფონდის დაფინანსება მოიპოვეს. შერჩეულ პროექტებს შორისაა 2 ქართული პროექტი: „გურია“, რეჟისორი ლევან კოლუაშვილი (1,253,155 ევრო) და „მთვარე მამაა ჩემი“, რეჟისორი გიორგი ოვაშვილი (200,000 ევრო).
- წელს საერთაშორისო პლატფორმაზე Close Up დოკუმენტური ფილმის 16 საუკეთესო პროექტი შეირჩა, რომელთა შორისაც 2 ქართულია: „მჩხიბავი“ – რეჟისორი ანა კვიტიძე და „მწარე შაქარი“ – რეჟისორი ანა ბარჯაძე, პროდიუსერი ირინა გელაშვილი (კომპანია 17/07). აღსანიშნავია, რომ ორივე პროექტს უკვე აქვს მიღებული საქართველოს ეროვნული კინოცენტრის დაფინანსება.



მერაბ ნინიძის ვიზიტი თბილისში

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მოწვევით, მერაბ ნინიძე მაყურებელს შეხვდა და მასტერკლასი ჩაატარა.

მასტერკლასი შედგა 16 დეკემბერს, თბილისი კონცეპტთან თანამშრომლობით და იგი განკუთვნილი იყო თეატრისა და კინოს მსახიობებისა და სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.



17 დეკემბერს, კინოთეატრ „ამირანში“ მერაბ ნინიძე მაყურებელს შეხვდა. შეხვედრა კითხვა-პასუხის ფორმატში მიმდინარეობდა, რის შემდეგაც გაიმართება ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ფილმის – „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ ჩვენება.

მერაბ ნინიძე ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული ქართველი არტისტია, როგორც სამშობლოში, ასევე, მის ფარგლებს გარეთ.

მსახიობმა პირველი კინოროლი შეასრულა თენგიზ აბულაძის ფილმში „მონანიება“. მერაბ ნინიძის ფილმოგრაფია არაერთ გამორჩეულ ფილმს მოიცავს. მათ შორის არის: ალექსანდრე რეხვიაშვილის „საფეხური“, დიტო ცინცაძის „შემოჭრა“, ბახტიარ ხუდონაზაროვის „ლუნა პაპა“, ალექსეი გერმანის (უმცროსი) „ქაღალდის ჭარისკაცი“, ევგენი შელიაკინის „შავი და თეთრი“, კორნელი მუნდრუცუს „იუპიტერის მთვარე“ და ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის „ჩემი ბედნიერი ოჯახი“.

კაროლინ ლინკის ფილმმა „არსად აფრიკაში“, სადაც მერაბ ნინიძე მთავარ როლს ასრულებს, 2001 წელს ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჭილდო – „ოსკარი“ მოიპოვა. ასევე, აღსანიშნავია დომინიკ კუკის ფილმი „კურიერი“, სადაც მერაბ ნინიძეს პარტნიორობას ბრიტანელი კინოვარსკვლავი ბენედიქტ კამბერბეჩი უწევს.

მერაბ ნინიძის შემოქმედებით ბიოგრაფიაშია ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ამერიკული სატელევიზიო სერიალი „სამშობლო“ და ბრიტანული სატელევიზიო სერიალი „მაც მათა“. 2021 წელს გერმანიაში გამოვიდა მინისერიალი „ექიმი ბალუზი“, სადაც მერაბ ნინიძე მთავარ პერსონაჟს – ამინ ბალუზის ასახიერებს.

მერაბ ნინიძე 1992 წლიდან ევროპაში აგრძელებს კარიერას. საქართველოდან წასვლამდე იგი აქტიურად იყო დაკავებული თეატრში. 15 წლის ასაკში მისი დებიუტი შედგა რუსთაველის თეატრის სცენაზე რობერტ სტურუას სპექტაკლში „რიჩარდ III“. ასევე, აღსანიშნავია მერაბ ნინიძის როლები გიზო ჟორდანიას სპექტაკლებში „ჰამლეტი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ანა ფრანკის დღიური“ და ლევან წულაძის სპექტაკლში „ვენეციელი ვაჭარი“.



„კინო სკოლაში“ – შემოდგომის სეზონი

პროექტის „კინო სკოლაში“ შემოდგომის სეზონი პიბრიდული ფორმატით გაიმართა – ონლაინ და ფიზიკური შეხვედრების სახით.

პროექტის მიზანია კინოხელოვნების პოპულარიზაციის გზით მოზარდებში ანალიტიკური აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარება.

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, პროექტში მონაწილეობისთვის შეირჩა 91 სკოლა, მათ შორის მაღალმთიანი და საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებიდან.

პროექტის ფარგლებში, შერჩეულ სკოლებში ჩატარდა ონლაინ გაკვეთილები, ფილმების ჩვენებები და დისკუსიები.

აღსანიშნავია, რომ 24 ოქტომბრიდან მოზარდებს უკვე აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ და გამოიყენონ საქართველოს ეროვნული კინოცენტრის ახალი საერთაშორისო კინოსაგანმანათლებლო პლატფორმა „ისტორის-კინო-ისტორია“.

პლატფორმის გაცნობის მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრთან ერთად, დაინტერესებული მასწავლებლებისთვის 12 ოქტომბერს გაიმართა ვებინარი.



სცენარის განვითარების სემინარი

საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით, 7-20 ნოემბერს ჩატარდა სცენარის განვითარების სემინარი (Tbilisi Script Seminar).

სემინარს უძღვებოდნენ კინორეჟისორი და სცენარის ავტორი ბორის ფრუმინი (აშშ) და კინორეჟისორი ლევან კოდუაშვილი (საქართველო).

სემინარის მონაწილეები ორი კვირის მანძილზე აქტიურად მუშაობდნენ მათი პროექტების განვითარებაზე. დასკვნით ღონისძიებაზე ორგანიზატორებმა საუკეთესო პროექტები დააჯილდოვეს.

ერთ-ერთი ჯილდო (2000 ლარის ოდენობით) დააწესა საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა.

„წერე ქართულ კინოზე“ – გამარჯვებულების დაჯილდოვება და წიგნის „ქართული კინო 1930 – 1940“ პრეზენტაცია

დასრულდა ყოველწლიური კონკურსი „წერე ქართულ კინოზე“. კონკურსი ტარდება საქართველოში აკრედიტებული უნივერსიტეტების კინომცოდნეობის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის და მიზნად ისახავს კინომცოდნეობისა და კინოკრიტიკის განვითარების ხელშეწყობას.

კონკურსში მონაწილეობდა 19 კონკურსანტი, ხოლო მეორე ეტაპზე გადავიდა – 11. საქართველოს ეროვნული კინოცენტრის 2022 წლის შემაჯამებელ ღონისძიებაზე კი გამოვლინდნენ გამარჯვებულები:

- პირველი ადგილი – მარიამ ლიპარტელიანი (3000 ლარი და „ბერლინალეს“ აკრედიტაციის დაფინანსება);
- მეორე ადგილი – თინათინ მამედოვა (2000 ლარი);
- მესამე ადგილი – მარიამ ვაჭარაძე (1500 ლარი).

ღონისძიებაზე, ასევე, გაიმართა წიგნის „ქართული კინო 1930 – 1940“ პრეზენტაცია, რომელიც კინოცენტრის მხარდაჭერით გამოიცა. წიგნი აერთიანებს მოცემულ პერიოდში კულტურის სფეროში მოღვაწე ხელოვანების შემოქმედებას.





საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center



საქართველოს
კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის
სამინისტრო

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

სანაპიროს #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge
www.filmcommission.ge